EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)

მუნიციპალიტეტების საპროექტო იდეების კონკურსი

ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის **"EU4ITD –** ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი" (CESL) მიზანია საქართველოს ოთხი რეგიონის (გურია, იმერეთი, კახეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) მოსახლეობის შემოსავლის წყაროების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ამ რეგიონებიდან მოსახლეობის თბილსში მიგრაციის შემცირებას და გაზრდის მოტივაციას რეგიონებში საცხოვრებლად გადასვლის. აღნიშნულ პროექტს GIZ-ი ეროვნული ინიციატივის სახელად საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ახორციელებს და იგი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება.

CESL-ის მთავარი კომპონენტი მუნიციპალიტეტების მიერ წარმართული საინვესტიციო პროექტების დაფინანსებას გულისხმობს. ამგვარი პროექტები რეგიონული სახის და თავისი ბუნებით ადგილობრივ კონტექსტში „ინტეგრირებული" უნდა იყოს. ამ მიზნით, 2022 წლის ნოემბერში საპროექტო იდეების კონკურსი გამოცხადდა და საბოლოო ჯამში, 16 მუნიციპალიტეტიდან 22 პროექტი სულ 2.5 მილიონი ევროს ოდენობის თანხით დაფინანსდა; აქედან, წინამდებარე დოკუმენტის მზადების პერიოდში, 13 პროექტი ჯერ კიდევ განხორციელების პროცესში იყო. აღნიშნული პირველი ინიციატივის კვალდაკვალ, CESL-ი **მუნიციპალიტეტების პროექტების შესახებ საპროექტო იდეების კონკურსს** აცხადებს. განაცხადები, რომლებიც თანდართულ განაცხადის ფორმის შესაბამისად უნდა იყოს შედგენილი, კვალიფიციურმა აპლიკანტებმა („საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით" (PIRDP) დაფარული ყველა მუნიციპალიტეტი) 2 ფორმატში უნდა წარმოადგინონ: ა) სკანირებული და მერის მიერ ხელმოწერილი განაცხადის და ბ) Word-ის (ელექტრონული) დოკუმენტის სახით; აღნიშნული განაცხადები ქართულ ენაზე 2024 წლის 31 მაისამდე შემდეგ ელ.ფოსტის მისამართზე უნდა იქნას გამოგზავნილი: euitdcesl@giz.de

ამ განაცხადებს თან უნდა ერთვოდეს წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც აჩვენებენ, რომ: ***1)*** პროექტმა საჯარო კონსულტაციები გაიარა, ***2)*** პროექტი საკრებულოს მიერ იქნა მოწონებული და ***3)*** პროექტი გენდერული თანასწორობის საბჭოს ფორმატში იქნა განხილული და მოწონებული..

ძირითადი მოდალობები, რომლებითაც წინამდებარე საგრანტო პროგრამა იმართება:

- პროექტები **რეგიონული** ხასიათის და თავისი ბუნებით ადგილობრივ კონტექსტში **„ინტეგრირებული“** უნდა იყოს; ისინი **CESL-ის სამი პრიორიტეტიდან ერთ-ერთს უნდა ეხებოდეს.** ეს პრიორიტეტებია: ურბანული განახლება, ტურიზმის განვითარება და შემოსავლების გენერირება/ეკონომიკური გააქტიურება. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ 2022 წლის ნოემბერში გამოცხადებული საპროექტო იდეების კონკურსის პირობები. ერთადერთი გამონაკლისი მდგომარეობს იმაში, რომ ამჯერად ურბანული განახლების პროექტების წარდგენა ყველა მუნიციპალიტეტს შეუძლია (და არა მხოლოდ „ინტეგრირებული რეგიონული განვითარების საპილოტე პროგრამით“ (PIRDP) დაფარული 27 მუნიციპალიტეტიდან რვა მუნიციპალიტეტს[1]). წინა კონკურსის ფარგლებში წარდგენილი და უარყოფილი საპროექტო იდეები (2022 წლის ნოემბერში მოწოდებული იდეები) მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, თუ CESL-ის მიერ დასახელებული მათი უარყოფის მიზეზები ადეკვატურად იქნა მოგვარებული.
- ამჟამად გამოცხადებული კონკურსისთვის **გამოყოფილი** თანხის ოდენობა 250,000 ევროს შეადგენს.[2] ეს თანხა არ არის დაყოფილი „ინტეგრირებული რეგიონული განვითარების საპილოტე პროგრამით“ (PIRDP) დაფარული რეგიონების მიხედვით.
- CESL-ის მიერ გამოყოფილი **გრანტის მაქსიმალური ოდენობა** 280,000 ლარს,[3] ხოლო **მინიმალური ოდენობა** 140,000 ლარს შეადგენს; აღნიშნული თანხა მხოლოდ ინვესტიციებთან დაკავშირებულ ხარჯებს დაფარავს (მაგალითად მშენებლობის/აღჭურვილობის ხარჯები).[4] პროექტის საერთო ოდენობაზე მაქსიმალური ზღვრები დაწესებული არ არის (მაგალითად CESL-ის გრანტი პლიუს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება). აპლიკანტი მუნიციპალიტეტების **თანადაფინანსება** მთლიანი პროექტის ბიუჯეტის მინიმუმ 1%-ს უნდა შეადგენდეს.
- პროექტების **განხორციელების პერიოდი** უნდა დაიწყოს 2024 წლის 1 ივლისიდან და უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2025 წლის 30 ივნისს.

---

[1] ქუთაისი, ოზურგეთი, ამბროლაური, თელავი, ზესტაფონი, ჭიათურა, სამტრედია და ტყიბული

[2] .გამოყოფილი თანხის ოდენობა შეიძლება გაიზარდოს მაგალითად იმ შემთხვევაში თუ CESL-ის სხვა კომპონენტებში თანხების დაზოგვა მოხერხდა. ასევე შესაძლებელია ამ თანხის შემცირებაც (გაუთვალისწინებელი დამატებითი ხარჯების წარმოქმნის შემთხვევაში). აქედან გამომდინარე, წარმატებულ აპლიკანტებს უნდა ესმოდეთ, რომ გამოყოფილი გრანტის ოდენობა საგრანტო კონტრაქტზე საბოლოო ხელმოწერამდე პირობითი იქნება.

[3] ან 100,000 ევროს ეკვივალენტი ლარში (რომელიც უფრო დაბალი იქნება).

[4] ანუ CESL-ს გრანტი არ დაფარავს მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა და გარე ექსპერტთა ხელფასებს (მაგალითად საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებისთვის დაქირავებული გარე ექსპერტები) ან მიწის/შენობების შეძენის ხარჯებს.

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

- ინფრასტრუქტურული შინაარსის საპროექტო დოკუმენტაცია უკვე ხელმისაწვდომი უნდა იყოს და მისი განხორციელების პერიოდი უნდა ექცეოდეს CESL-ის პროგრამის განხორციელების ვადებში.
- შემოთავაზებულ პროექტებს: *1)* გავლილი უნდა ჰქონდეთ **საჯარო კონსულტაციების პროცესი,**[5] **2) საკრებულოს** მიერ უნდა იყვნენ მოწონებული და ***3)* გენდერული საბჭოს მიერ** უნდა იყოს განხილული და მოწონებული **განაცხადების რაოდენობა*:*** თითოეულ მუნიციპალიტეტს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი განაცხადი.

განაცხადების დაშვებადობის შემოწმების შემდეგ მოხდება მათი იმ კრიტერიუმების/ქულების მინიჭების სისტემის მიხედვით შეფასება, რომელიც წინამდებარე დოკუმენტის დანართშია მოცემული. იმ შემთხვევაში თუ განაცხადი „გამსვლელ“ ქულას მიიღებს, აპლიკანტების შესაბამის წარმომადგენლებთან ინტერვიუები და/ან ადგილზე ვიზიტები იქნება შეთანხმებული. ინტერვიუების/ადგილზე ვიზიტების შემდგომ განაცხადები საბოლოო ქულებით შეფასდება და CESL-ი ყველაზე მაღალი ქულების მიმღებ მუნიციპალიტეტებთან დაიწყებს მოლაპარაკებებს, რომლებიც ხელმისაწვდომი თანხებით შეიძლება დაფინანსდნენ.[6] შედეგების შესახებ ყველა აპლიკანტი იქნება ინფორმირებული. მოლაპარაკებები ინგლისურ ენაზე შესრულებული აღწერილობითი განაცხადის და ბიუჯეტის წარმოდგენით დასრულდება;[7] ეს დოკუმენტები მუნიციპალიტეტსა და GIZ-ს შორის ეროვნულ ვალუტაში (ლარში) დადებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველს წარმოადგენს. ამგვარი საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა 2024 წლის ივნისში ან ივლისში იქნება შესაძლებელი..

კითხვების შემთხვევაში გთხოვთ დაუკავშირდეთ CESL-ს რეგიონულ წარმომადგენლებს - nino.khukhua@giz.de და mariam.zhorzhikashvili@giz.de (დასავლეთ საქართველო) და zurab.tsignadze@giz.de (კახეთი).

[5] ამგვარი საჯარო კონსულტაციების ჩატარების ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს მაგალითად "სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების" სხდომების წერილობითი ოქმების სახით.

[6] გარკვეულ შემთხვევებში, განაცხადები სარეზერვო სიაში შეიძლება იქნას შეყვანილი (იმ შემთხვევისთვის თუ შემდგომში დამატებითი თანხები გახდება ხელმისაწვდომი).

[7] CESL-ის გუნდი შერჩეულ მუნიციპალიტეტს აღწერილობითი განაცხადის და ბიუჯეტის შედგენაში დაეხმარება.

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

დანართი - დაშვების კრიტერიუმები; შეფასების კრიტერიუმები/ქულების მინიჭების სისტემა

დაშვების კრიტერიუმები

მიღებული განაცხადები ქვემოთ მოცემული დაშვების კრიტერიუმების მიხედვით იქნება შეფასებული. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი განაცხადები ქვემოთ მოცემულ რომელიმე კრიტერიუმს არ დააკმაყოფილებს, მათი შემდგომი შეფასება აღარ მოხდება.

- განაცხადი შემოტანილია „ინტეგრირებული რეგიონული განვითარების საპილოტე პროგრამით“ (PIRDP) დაფარულ რეგიონში მდებარე მუნიციპალიტეტის მიერ.
- განაცხადი საკონკურსო პირობებში მითითებულ ელ. ფოსტაზე საბოლოო ვადის ამოწურვამდე იქნა მიღებული.
- იგი ეხება CESL-ის ერთ ან მეტ პრიორიტეტს (რომლებიც საკონკურსო პირობებშია მითითებული).
- იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი იმ საპროექტო იდეას ეხება, რომელიც წინა საგრანტო კონკურსის დროს (2022 წლის ნოემბერში გამართული კონკურსი) უარყოფილი იქნა CESL-ის მიერ, მაშინ ამ უარყოფის მიზეზები ადეკვატურად უნდა იყოს მოგვარებული.
- მოთხოვნილი საგრანტო თანხა შეესაბამება საგრანტო კონკურსში მითითებული გრანტის მაქსიმალური/მინიმალური ოდენობებს.
- გრანტი მხოლოდ ინვესტიციებთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად იქნება გამოყენებული.
- აპლიკანტის თანადაფინანსება პროექტის მთლიანი ბიუჯეტის (ანუ გრანტის და თანადაფინანსების ჯამის) მინიმუმ 1%-ს შეადგენს.
- პროექტის განხორციელების დაწყება არ იგეგმება 2024 წლის 1 ივლისამდე და არ გრძელდება 2025 წლის 30 ივნისის შემდეგ.
- არსებობს პროექტთან დაკავშირებით ჩატარებული საჯარო კონსულტაციების დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებები.
- პროექტი მოწონებულია საკრებულოს მიერ[8].
- პროექტი მოწონებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ.
- აპლიკანტ მუნიციპალიტეტს არ წარმოუდგენია ერთზე მეტი საპროექტო განაცხადი..

[8] საკრებულოს განკარგულება პროექტის მოწონების შესახებ.

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

შეფასების კრიტერიუმები და ქულების მინიჭების სისტემა

ქვემოთ ცხრილში მოცემულია განაცხადების შეფასების კრიტერიუმები და ასევე ქულების მინიჭების სისტემა. რაც შეეხება ქულების მინიჭების სისტემას, თითოეულ განაცხადს 0-დან 10-მდე ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ენიჭება[9]. 6 შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად საჭირო „მინიმალურ“ ქულად ითვლება. ამის შემდეგ ხდება თითოეული ქულის გამრავლება შესაბამისი კრიტერიუმის წონის მიხედვით, რის შედეგადაც მაქსიმალური ქულის გამოთვლა მოხდება (თუმცა ეს მაქსიმალური ქულა 1,000-ზე მეტი ვერ იქნება).

კრიტერიუმი	ქულების დიაპაზონი	გამსვლელი ქულა	წონა	წონაზე გამრავლების შემდეგ მიღებული ქულა
პროექტი რეგიონის შიდა ან რეგიონთაშორისი მასშტაბი	0-დან 10-მდე	6	15	90
„ინტეგრირებულობა“	0-დან 10-მდე	6	30	180
რელევანტურობა, განხორციელებადობა, მდგრადობა	0-დან 10-მდე	6	40	240
მონდომების ხარისხი	0-დან 10-მდე	6	15	90
სულ				**600**

კიდევ უფრო მეტი სიცხადის შესატანად, ქვედა ცხრილში მოცემულია თითოეული კრიტერიუმი მასთან დაკავშირებულ ძირითად კითხვებთან ერთად. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შეფასებები გაკეთდება როგორც *1)* წარმოდგენილი განაცხადების ისე *2)* CESL-ის გუნდის მიერ შემდგომ ეტაპზე შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

[9] 0-დან 1.9-მდე – ძალიან ცუდი, 2-დან 3.9-მდე – ცუდი, 4-დან 5.9-მდე – არადამაკმაყოფილებელი; 6 – დამაკმაყოფილებელი; 6.1-დან 7.9-მდე – კარგი, 8-დან 10-მდე – შესანიშნავი

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

კრიტერიუმების და ძირითადი კითხვების ახსნა
რეგიონის შიდა და რეგიონთაშორისი მასშტაბი:[10] PIRDP-ის მიზნების შესაბამისად, პროექტებს რეგიონული (ანუ მუნიციპალიტეტზე უფრო ფართო) მასშტაბები უნდა გააჩნდეთ. შეფასებისას პასუხი უნდა გაეცეს ისეთ კითხვებს, როგორიც არის: • ითვალისწინებს თუ არა პროექტი ერთზე მეტი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ორგანიზაციების თანამშრომლობას (პროექტის დაგეგმვის და/ან განხორციელების ეტაპზე)? ამგვარ ორგანიზაციებში იგულისხმება არა მხოლოდ თავად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობა), არამედ ასევე კერძო კომპანიები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და საგანმანათლებლო დაწესებულებები. • მოაქვს თუ არა პროექტს იმგვარი შედეგები, რომლებიც სცილდება მხოლოდ ერთი ადგილობრივი თვითმმართველობის საზღვრებს? მაგალითად, იქნება თუ არა ახლადშექმნილი სერვისები ხელმისაწვდომი სხვა მუნიციპალიტეტების მაცხოვრებლებისთვის ან იქნება თუ არა მოსალოდნელი შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველობის საზღვრების გარედან მოსული მომხმარებლის მიერ გენერირებული? გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შემფასებლები განსაკუთრებული ყურადღებით განიხილავენ ამ კრიტერიუმს, იმ საპროექტო იდეის შემთხვევაში, რომელიც ერთი კონკრეტული რეგიონის წარმომადგენელი ინტერმუნიციპალური ორგანოების მიერ იქნება წარმოდგენილი, რათა დარწმუნდნენ იმაში, რომ სარგებელი მხოლოდ იმ ადგილებში არ იქნება კონცენტრირებული სადაც ამ ორგანოების ოფისები
"ინტეგრირებულობა": პროექტი „ინტეგრირებულად" ჩაითვლება თუ ის ***1)*** „კონკრეტულ ადგილზე დაფუძნებულია" - ანუ თუ იგი კონკრეტულ ადგილს ერგება და მის უნიკალურ მახასიათებლებს ასახავს; ***2)*** „დარგთაშორისი" ხასიათისაა - ანუ თუ იგი კონკრეტულ ადგილზე არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ასევე სოციალურ და/ან გარემოსდაცვით სარგებელს მოიტანს; ***3)*** დაგეგმილი და განხორციელებულია იმ პარტნიორთა კოალიციის მიერ, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილი დაინტერესებული მხარეებიდან მინიმუმ ორის ინტერესებს გამოხატავს: ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო, კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება, საგანმანათლებლო დაწესებულებები და გარემო. ამ შემთხვევაში დასასმელი ძირითადი კითხვებია: 1. ასახავს თუ არა კონკრეტული საპროექტო იდეა იმ ადგილზე არსებულ მდგომარეობას სადაც მისი განხორციელებაა შემოთავაზებული და მოღვაწეობენ თუ არა პროექტის დაგეგმვაში/განხორციელებაში ჩართული პარტნიორები კონკრეტულ თემში? დარჩება თუ არა პროექტის სარგებელი

[10] "რეგიონის შიდა" = ერთი კონკრეტული რეგიონის შიგნით (მაგალითად იმერეთში); "რეგიონთაშორისი" = ორ ან მეტ რეგიონს შორის (მაგალითად გურიისა და იმერეთს ან გურიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შორის)

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

კრიტერიუმების და ძირითადი კითხვების ახსნა
(მაგალითად გაზრდილი შემოსავლები) ადგილობრივ თემში (იმის მაგივრად რომ აღნიშნული თანხების სხვა ადგილას (მაგალითად თბილისში) გადატანა მოხდეს)? 2. ითვალისწინებს თუ არა საპროექტო იდეა ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ფაქტორებს და მოიტანს თუ არა ის ეკონომიკურ, სოციალურ და/ან გარემოსდაცვით სარგებელს (მაგალითად ღირებულებათა ჯაჭვებში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა, მარგინალიზებული ჯგუფების სოციალური ინკლუზია, წიაღისეული საწვავის გამოყენების შემცირება)? გაითვალისწინეთ, რომ ნამდვილად დარგთაშორისი ტიპის პროექტები როგორც წესი „ინტენსიური“ და „რბილი“ ზომების ნაზავს წარმოადგენენ (მაგალითად ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციების ადგილობრივი ბიზნესების ან სათემო ორგანიზაციების/მოხალისეობრივი ჯგუფების დაფინანსებასთან ერთად განხორციელება). 3. იქნება თუ არა საპროექტო იდეა პარტნიორების შინაარსიანი კოალიციის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული, რომლებიც კონკრეტული თემის შიგნით არსებულ სხვადასხვა ინტერესებს წარმოადგენენ? კოალიცია „შინაარსიანად“ მაშინ ითვლება, როდესაც ის რეალურად არსებობს (და არა მხოლოდ ქაღალდზე) და როდესაც მასში დომინანტური პოზიცია მხოლოდ ერთ პარტნიორს არ უკავია (მაგალითად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს).
რელევანტურობა, განხორციელებადობა, მდგრადობა: საპროექტო იდეების შერჩევა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ *1)* ისინი ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კონკრეტული ასპექტების გაუმჯობესებას ისახავენ მიზნად და თემის არსებულ გამოწვევებს/შესაძლებლობებს ეხებიან (მაგალითად ახალგაზრდების უმუშევრობა, შემოსავლების გენერირება და ა.შ.); *2)* დადგინდება, რომ დიდი ალბათობით ისინი შეძლებენ საკუთარი მიზნების მიღწევას; *3)* არსებობს მკაფიობა პროექტის შედეგების მდგრადობასთან დაკავშირებით (მაგალითად გრანტის მეშვეობით განახლებული ინფრასტრუქტურის მოვლა). ამ დროს დასმული ძირითადი კითხვებია: • პროექტის მიზნების მიღწევის შედეგად მოხდება თუ არა კონკრეტულ ადგილზე(ებზე) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კონკრეტულ გაუმჯობესებაში არსებითი წვლილის შეტანა? • რამდენად კარგად მიესადაგება საპროექტო იდეა CESL-ის პრიორიტეტულ მიმართულებებს? • ეხება თუ არა საპროექტო იდეა კონკრეტულ თემში არსებულ რეალურ გამოწვევებს/შესაძლებლობებს? • არის თუ არა შემოთავაზებული პარტნიორთა კოალიცია იდენტიფიცირებული გამოწვევების/შესაძლებლობების შესაფერისი? • არის თუ არა პარტნიორთა კოალიციის ოპერირებისთვის შემოთავაზებული მოდალობები რეალისტური და უზრუნველყოფენ თუ არა ისინი დაინტერესებულ მხარეთა შინაარსიან მონაწილეობას?

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

კრიტერიუმების და ძირითადი კითხვების ახსნა
• შეიძლება თუ არა გამოწვევებზე/შესაძლებლობებზე რეაგირებისთვის შემოთავაზებული მიდგომა ჩაითვალოს კრეატიულად ან შემოქმედებითად? • მოხდა თუ არა ამჟამად მიმდინარე ან მოსალოდნელი მსგავსი ინიციატივების (მაგალითად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს ინიციატივების) გათვალისწინება დუბლირების თავიდან ასაცილებლად და/ან სინერგიების შესაქმნელად? • არის თუ არა საპროექტო იდეის განხორციელებისთვის აუცილებელი მიწის ნაკვეთის ან საკუთრების მფლობელობასთან დაკავშირებით ყველაფერი გარკვეული, და არის თუ არა ამგვარ მიწის ნაკვეთზე/საკუთრებაზე წვდომა გარანტირებული? თუ ამგვარი წვდომა არ არის ჯერ გარანტირებული, არსებობს თუ არა მკაფიო გეგმა ამის მისაღწევად (მაგალითად ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიწის ნაკვეთის/საკუთრების ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოსთვის გადაცემა)? • ნამდვილად გამოიწვევს თუ არა შემოთავაზებული აქტივობები პროექტის მიზნების მიღწევას? • არის თუ არა შემოთავაზებული რესურსებით (მიწის ნაკვეთი/საკუთრება, ბიუჯეტი, პერსონალი) და შემოთავაზებულ ვადებში პროექტის მიზნების მიღწევა რეალისტური? • არის თუ არა ზუსტად ცნობილი ვინ იქნება პასუხისმგებელი პროექტის მართვაზე მისი განხორციელების პერიოდში? • არის თუ არა ზუსტად ცნობილი ვინ იქნება პასუხისმგებელი პროექტის შედეგების ოპერირებაზე და მათ შემდგომ დაფინანსებაზე, მას შემდეგ რაც საგრანტო დაფინანსება ამოიწურება?
ერთგულება/მონდომება: შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ერთგულება/მონდომება პროექტის შემუშავების და განხორციელების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. უმნიშვნელოვანესია, რომ მუნიციპალიტეტები, რომლებიც CESL-ის ძირითად თანამოსაუბრეებს წარმოადგენენ, სრულად „ფლობდნენ“ დაფინანსებულ ინიციატივებს, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ CESL-ის გუნდთან მჭიდრო კავშირის უზრუნველსაყოფად მათ (მერის გარდა) მცოდნე და შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილი პერსონალი გამოყონ. • არსებობს თუ არა მუნიციპალიტეტის მხრიდან შემოთავაზებული საპროექტო იდეის მიმართ მკაფიო ერთგულება/მონდომება? მაგალითად, დაიწყო თუ არა უკვე პროექტის გეგმაზე მუშაობა (მაგალითად დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები), ან წარმოადგენს თუ არა საპროექტო იდეა ამჟამად უკვე მიმდინარე უფრო ფართო ინიციატივის ნაწილს? (ალტერნატივის სახით) არის თუ არა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო მზად პროექტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილის საკუთარი სახსრებით შევსებისთვის, ან მიმართა თუ არა მან უცხოელ (მაგალითად დამმობილებულ თემებს) ან ქართველ კოლეგებს მიღებული გაკვეთილების შესახებ ინფორმაციის მისაღებად? არის თუ არა იგი მზად პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

კრიტერიუმების და ძირითადი კითხვების ახსნა
გამოცდილების სხვა მუნიციპალიტეტებთან გაზიარებისთვის (მაგალითად RCC-ების და NALAG-ის მეშვეობით)? • არსებობს თუ არა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში (მერის გარდა) მცოდნე თანამშრომლები, რომლებსაც CESL-თან მჭიდრო კავშირების დამყარების უფლებამოსილება გააჩნიათ? • იჩენენ თუ არა თემის შიგნით არსებული შესაბამისი დაინტერესებული მხარეები ერთგულებას/მონდომებას საპროექტო იდეის მიმართ? ეს განსაკუთრებით იმ დაინტერესებულ მხარეებს ეხება, რომლებიც პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელ პარტნიორთა კოალიციაში არიან წარმოდგენილი.

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის მთავრობის შეხედულებებს.

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH